სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტი

2019 წლის 19 მაისის შუალედური არჩევნების ფინანსური აქტივობების მონიტორინგის შუალედური ანგარიში

17 მაისი, 2019

I. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე შუალედურ ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 2019 წლის 19 მაისის საქართველოს პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შუალედური არჩევნების პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ განხორციელებული ხარჯებისა და შემოსავლების, შემოსული საჩივრებისა და მონიტორინგის მიმდინარე შედეგების შესახებ.

არჩევნებში მონაწილეობას იღებს 18 პარტია, 1 ბლოკი და 20 დამოუკიდებელი კანდიდატი, რომლებსაც სამსახურის მოთხოვნით დაუწესდა ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება შემდეგი პერიოდების მიხედვით:

- 20 მარტიდან 9 აპრილის ჩათვლით - 12 აპრილს;
- 10 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით - 3 მაისს;
- 30 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით - 3 მაისს (თვითმმართველობის არჩევნებისთვის);
- 1 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით - 22 მაისს;
- 20 მარტიდან 19 მაისის ჩათვლით - 6 ივნისამდე *(იმ სუბიექტებისთვის, რომლებმაც წინასწარი მონაცემებით მიიღეს ხმების საჭირო რაოდენობა);*
- 20 მარტიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე პერიოდის ჯამური ინფორმაცია - შედეგების გამოქვეყნებიდან 1 თვეში.

სამსახურმა შეიმუშავა მოქმედი რეგულაციებისა და ვადების შესახებ ინფორმაციის შემცველი განცხადება და ინფორმაციის წარმოდგენის დროს შესავსები წერილის ნიმუშები. აღნიშნული განცხადება გამოქვეყ-ნდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე და წერილობითი ინსტრუქციის ფორმით დაეგზავნა საარჩევნო სუბიექტობის ყველა კანდიდატს.

აღნიშნული ინსტრუქციების გარდა 2019 წლის 15 მაისს შედგა შეხვედრა არჩევნებში მონაწილე 14 პარტიის წარმომადგენლებთან, სადაც საკითხი შეეხო როგორც პარტიების მიმდინარე ვალდებულებებს, ასევე რეგულაციებში დაგეგმილ და საჭირო ცვლილებებს.

II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები

1. ჯამური შემოსავლები

ჯამში, პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ 20 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით პერიოდში მიღებულია 2,844,372 ლარის შემოსავალი, საიდანაც დაახლოებით 60%-ს შემოწირულებები შეადგენს.

N	პარტიის დასახელება	საბიუჯეტო შემოსავალი	მიზნობრივი დაფინანსება	შემოწირულების ჯამი	ჯამური შემოსავალი
1	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	173,420	84,169	1,589,500	**1,847,089**
2	ევროპული საქართველო-თავისუფალი დემოკრატები	86,344	84,170	13,034	**183,548**
3	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	105,916	84,169	-	**190,085**
4	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	82,644	42,085	23,513	**148,242**
5	მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის	42,265	42,085	-	**84,350**
6	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	31,571	28,056	-	**59,627**
7	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	20,135	21,042	-	**41,177**
8	მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის	16,293	21,042	-	**37,335**
9	პოლიტიკური პლატფორმა - ახალი საქართველო	16,293	21,042	-	**37,335**
10	ლევან იოსელიანი	-	-	32,050	**32,050**
11	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია	31,571	-	-	**31,571**
12	თავისუფალი საქართველო	7,252	7,014	6,150	**20,416**
13	სოფიო ხორგუანი	-	-	17,245	**17,245**
14	მოძრაობა "თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“	7,252	7,014	-	**14,266**
15	ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა მოძრაობა	7,252	7,014	-	**14,266**
16	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	7,252	7,014	-	**14,266**
17	ახალი პოლიტიკური ცენტრი - "გირჩი"	-	-	11,070	**11,070**
18	ვახტანგ რობაქიძე	-	-	4,100	**4,100**
19	გრიგოლ გეგელია	-	-	4,095	**4,095**
20	კობა დავითაშვილი	-	-	3,780	**3,780**
21	დავით ჭუმბურიძე	-	-	2,155	**2,155**
22	დომენტი სიჭინავა	-	-	2,100	**2,100**
23	თენგიზ ჯგუშია	-	-	950	**950**
24	იოსებ კობერიძე	-	-	80	**80**
25	ავთანდილ ბრეგაძე	-	-	-	**-**
26	ალი ბადიროვი	-	-	-	**-**
27	დავით თორდია	-	-	-	**-**
28	ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა	-	-	-	**-**
29	ზურაბ კუპატაძე	-	-	-	**-**
30	თამარ ალფაიძე	-	-	-	**-**
31	კაკო თავდუმაძე	-	-	-	**-**
32	კახაბერ ზარნაძე	-	-	-	**-**
33	ნოდარ ჩაჩანიძე	-	-	-	**-**
34	პარტია საქართველო	-	-	-	**-**
35	როლანდ აბულაძე	-	-	-	**-**
36	ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე	-	-	-	**-**
37	ტოგო ჭელიძე	-	-	-	**-**
	სულ ჯამი	**635,460**	**455,916**	**1,709,822**	**2,844,372**

2. ჯამური ხარჯები

ჯამში, პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ 20 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით პერიოდში დახარჯულია 1,903,023 ლარი, რაც ძირითადად ნაწილდება რეკლამებსა და შრომის ანაზღაურებაზე, კერძოდ:

N	პარტიის დასახელება	სატელევიზიო რაკლამა	სხვა რეკლამა	შრომის ანაზღაურება	ჯამური ხარჯი
1	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	119,500	454,647	12,425	**918,380**
2	ევროპული საქართველო-თავისუფალი დემოკრატები	-	24,507	173,201	**303,473**
3	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	-	17,814	44,638	**177,862**

4	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	-	420	40,604	**142,208**
5	მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის	-	-	46,016	**50,602**
6	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	-	-	26,932	**76,556**
7	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	-	-	29,479	**33,373**
8	მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის	-	-	13,960	**35,155**
9	პოლიტიკური პლატფორმა - ახალი საქართველო	-	-	20,213	**30,110**
10	ლევან იოსელიანი	-	12,656	-	**15,767**
11	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია	-	-	26,065	**35,961**
12	თავისუფალი საქართველო	-	1,322	4,489	**21,303**
13	სოფიო ხორგუანი	-	1,200	3,030	**7,441**
14	მოძრაობა "თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“	-	-	9,302	**14,253**
15	ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა მოძრაობა	-	-	5,947	**10,450**
16	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	-	-	4,816	**6,442**
17	ახალი პოლიტიკური ცენტრი - "გირჩი"	-	-	-	**12,272**
18	ვახტანგ რობაქიძე	-	2,230	-	**2,915**
19	გრიგოლ გეგელია	-	519	-	**523**
20	კობა დავითაშვილი	-	-	-	**3,773**
21	დავით ჭუმბურიძე	-	2,139	-	**2,154**
22	დომენტი სიჭინავა	-	2,050	-	**2,050**
23	თენგიზ ჯგუშია	-	-	-	-
24	იოსებ კობერიძე	-	-	-	-
25	ავთანდილ ბრეგაძე	-	-	-	-
26	ალი ბადიროვი	-	-	-	-
27	დავით თორდია	-	-	-	-
28	ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა	-	-	-	-
29	ზურაბ კუპატაძე	-	-	-	-
30	თამარ ალფაიძე	-	-	-	-
31	კაკო თავდუმაძე	-	-	-	-
32	კახაბერ ზარნაძე	-	-	-	-
33	ნოდარ ჩაჩანიძე	-	-	-	-
34	პარტია საქართველო	-	-	-	-
35	როლანდ აბულაძე	-	-	-	-
36	ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე	-	-	-	-
37	ტოგო ჭელიძე	-	-	-	-
	სულ ჯამი	**119,500**	**519,504**	**461,117**	**1,903,023**

საარჩევნო სუბიექტების მიერ დეკლარირებული ხარჯების გადამოწმების მიზნით, აუდიტის სამსახური სისტემატურად ახორციელებს ხარჯების შედარებას სუბიექტების საბანკო გადარიცხვებთან და საჯარო ინფორმაციის წყაროებთან

სამსახურმა 15-17 მაისის პერიოდში განახორციელა მონიტორინგი საქართველოს რვა ოლქში. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის ოფისებისა და სარეკლამო მასალების გამოყენების საკითხები. აღნიშნული ინფორმაცია გადამოწმდება საარჩევნო სუბიექტების დეკლარაციებში და დარღვევის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური იმოქმედებს კანონით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

III. შემოწირულებების შესწავლა

ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული შემოწირულებების შესწავლის პროცესში შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილია ინფორმაცია მარტი-აპრილის თვეებში განხორციელებული 76 ფიზიკური პირის შემოწირულებაზე.

გარდა ამისა მიმდინარეობს შესწავლა რვა იურიდიული პირის მიერ განხორციელებული შემოწირულების კანონიერების შესახებ.

IV. თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნილი საქმეები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საარჩევნო კამპანიის პერიოდში წინასაარჩევნო და გასულ პერიოდში განხორციელებულ ქმედებებზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ექვსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე გადააგზავნა. კერძოდ:

საარჩევნო სუბიექტი	ინფორმაცია	მოთხოვნილი სანქცია
ქართული ოცნება	წლიურ დეკლარაციებში აღმოჩენილი შემთხვევა ინფორმაციის წარმოდგენის წესის დარღვევის შესახებ	2,000 ლარი
გირჩი	წლიური დეკლარაციებში აღმოჩენილი კანონით დადგენილი წესის დარღვევით მიღებული შემოწირულება	8,300 ლარი
ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა	წლიურ დეკლარაციებში აღმოჩენილი შემთხვევა ინფორმაციის წარმოდგენის წესის დარღვევის შესახებ	2,000 ლარი
გირჩი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა	1,500 ლარი
სახელმწიფო ხალხისთვის	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა	3,000 ლარი
გირჩი	3-კვირიანი დეკლარაციების წარმოდგენის კანონით დადგენილი ვალდებულების დარღვევა	2,000 ლარი
	სულ ჯამი	**18,800 ლარი**

შუალედური არჩევნების მიმდინარეობის პერიოდში სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით ოფიციალური მომართვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არ შემოსულა.